ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ოთხშაბათი, 29 აგვისტო № 1567

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.

რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе».** ტელეფონი № 372.

„ცნობის ფურცლის“ მე-1568 ნომერი გამოვა პარასკევს, 31 აგვისტოს.

სალომე აბაშიძისა, იოსელიანის ასული, კონსტანტინე და დომენტი ლორთქიფანიძეები, აპოლონ, ბესარიონ და ივანე აბაშიძეები აცნობებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ შაბათს, 1 სექტემბერს, დილის 9 საათზე, დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი, პირველის—შვილის შვილის, მეორეთა—ქვრივისას ძმის, ხოლო უკანასკნელთა—დისწულის ბეითადის

გრიგოლ კონსტანტინეს ძის ლორთქიფანიძისა,

სთხოვენ ნათესავთ და ნაცნობთ მობრძანდნენ და დაესწრნენ წირვას და პანაშვიდს ქ. ხონში, ქარცხაბის მაცხოვრის ეკლესიაზე. (1—156—1)

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლაში

დაიწყო ორივე სქესის მოწაფეთა მიღება 25-ს აგვისტოდან. სკოლაში ორი განყოფილებაა (ქართული და სომხური) იმ მოწაფეთათვის, რომელთაც რუსული არ ესმით და სამა განყოფილებაც რუსული. სკოლა იმყოფება ლერმონტოვისა და გუდოვიჩის ქუჩები რომ შეიყრებიან, იმ კუთხეში. სახლი საგარდა-პოსერბსკის, № 12. (5—1)

სკოლა და პანსიონი
ა. მამულაიშვილისა

ამზადებს ყმაწვილებს სხვა-და-სხვა სასწავლებლებისათვის.

ყმაწვილებს იღებენ ყოველ დღე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდან. ოლგა. ქუჩა (Ольгинская) № 13. (10—9)

სასწავლებელი და პანსიონი
ა. გ. მირზაშვილისა

ელისაბედის ქუჩაზე, სახლი № 25.

ამით აცხადებს, რომ სწავლა დაიწყება სასწავლებელში პირველ ენკენისთვიდან. მიიღებენ ბავშვებს მოსამზადებლად: გიმნაზიისათვის, რეალურ და კომერციულ სასწავლებლისათვის. სხვათა შორის, აქვე ამზადებენ ყმაწვილებს ზემდემერის და იუნკრის სკოლებისთვისაც. (16—7)

ქუთაისში, ვ. ბექანეიშვილის მაღაზიაში, იყიდება გაზეთ „ცნობის ფურცლი“-ს ნომრები. ფასი თითო ნომრისა 3 კაპეიკი.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი ტელეფონი. 791.

მთავრობის განკარგულებანი

სამხედრო უწყებას:

ხელმწიფე იმპერატორმა 40 წლის უმწიკვლო სამსახურისათვის უბოძა ნიშანი კავალერიის გენერალს თავ. ი. ამილახვარს.

სამოქალაქო უწყებას:

სურამის პოლიციის ნაწილის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელს მგალობლიშვილს ებოძა კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

ქ. გორის მოქალაქე პეტრე პავლიაშვილი ჩაირიცხა ტფილისის სახაზინო პალატის კანცელარიის მოხელედ.

დათხოვნილ იქმნენ, თანახმად თხოვნისა, ტფილისის სახაზინო პალატის ბუჰალტერის თანაშემწე გიორგი ელიაშვილი და კანცელარიის მოხელე კოლეჟსკი რეგისტრატორი ივანე ინაშვილი.

მაკ-კინლეი

გამოჩენილი წარმომადგენელი შეერთებულ შტატების რესპუბლიკელთა პარტიისა ვილიამ მაკ-კინლეი, რომლის სურათს აქვე ვბეჭდავთ, ამ დღეებში მძიმედ დასჭრა ანარხისტმა ჩოგლოსმა.

ვილიამ მაკ-კინლეი დაიბადა 1844 წელს და პირველად სახელი გაითქვა ჩრდილოეთ ამერიკასა და სამხრეთ შტატების შუა ომში. მხურვალე მოსარჩლე იყო მონობის დამხობისა და ამით დიდი სიყვარული დაიმსახურა თავისს შტატ ოგაიოს მცხოვრებთა შორის. 1887 წელს ოგაიოს რესპუბლიკელებმა აირჩიეს მაკ-კინლეი კონგრესის წევრად და მას შემდეგ ის არ მოშორებია პოლიტიკურ ასპარეზს. 1890 წელს მაკ-კინლეის სახელი მთელ დედა-მიწას მოეფინა: მან წარუდგინა კონგრესს შესანიშნავი კანონ-პროექტი ტარიფის გაძლიერების შესახებ. პროექტით, ყველა უცხოელ საქონელს ედებოდა იმდენად დიდი ბაჟი, რომ უცხოელთათვის ხელ-საყრელი არ იყო ამერიკაში საქონლის გაგზავნა. ამ პროექტმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მთელს ევროპაში, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ კონგრესმა მაინც დააკანონა ეგრედ წოდებული „მაკ-კინლეის ტარიფი“. ტარიფმა შეამცირა უცხოელთა საქონლის მოტანა ამერიკაში და ამასთანავე გააძლიერა მრეწველობის ზოგიერთი დარგი თვით ამერიკაში. ამ კანონით მაკ-კინლეიმ გზა გაიკაფა სახელმწიფოს უმთავრეს ადგილამდე და 1896 წელს არჩეულ იქმნა შტატების პრეზიდენტად. 1900 წელს ხელმეორედ არჩეულ იქმნა ამ თანამდებობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მის წინააღმდეგ დიდი ბრძოლა ასტეხა დემოკრატიულმა პარტიამ.


მაკ-კინლეი

იოჰან მიკელი

ტელეგრაფი გვაცნობებს, რომ გარდაიცვალა გერმანიის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე იოჰან მიკელი. მიკელის სახელმწიფო მოღვაწეობა იყო ფრიად შესანიშნავი. ახალგაზდობაში მიკელი რევოლიუციონერების რაზმში ირიცხებოდა და კარლ-მარქსის დიდი მეგობარიც იყო. შემდეგში ძირიანად შესცვალა თავისი მიმართულება, თუმცა, უნდა ვსთქვათ, მის მოღვაწეობას მაინც ემჩნევოდა რადიკალური ელფერი. ფრანკფურტში ობერბურგომისტრობის ყოფნის დროს (1865 წ.) მიკელმა დიდი მხნეობა გამოიჩინა მუშათა სადგომების დაარსების კითხვაში. 1882 წ. შედის პრუსიის პალატაში, შემდეგ გერმანიის რეიხსტაგში. 1884 წ. შეიმუშავა ჰეიდელბერგის პროგრამმა, რომელსაც ჰქონდა მიზნად არაყზე, შაქარზე და ბირჟაზე გადასახადის შემოღება. 1891 წ. რეიხსტაგში გავიდა შესანიშნავი მიკელის პროექტი პროგრესსიულ გადასახადისა შემოსავალზე. 1894. სოციალისტებმა გამოაქვეყნეს მიკელის მარკსსთან მიწერ-მოწერა. ამ წერილების გამო დიდი მითქმა-მოთქმა გაიმართა გერმანიაში და ბევრიც დასცინეს მიკელს.

ფელეტონი

პედაგოგიური დაკვირვებანი შვეიცარიაში *)

15 ივლისი (28 ახალი სტ.), შაბათი.

პირველ კლასში მეცადინეობდა მასწავლებელი. ანგარიშს (თვლას) ათამდის ასწავლიდა სიტყვიერად: 5 და რამდენი იქმნება შვიდი? 3 და? შვიდი? და სხ. წინდაწინ დაფაზე დაწერილი ჰქონდა: ერთ მხარეზე მიმატებისა, მეორე მხარეზე გამოკლების მაგალითები ათამდის. 3+1=4; 5—2=3, ე. ი. რეზულტატებიც მიწერილი ჰქონდა., თითოეულ მოსწავლეს—ერთიც არ გამოუტოვებია—წააკითხვინა ის, რაც ეწერა დაფაზე. შემდეგ რეზულტატები წაშალა, დარჩა 3+1, 5—2 და სხვ. ესენი ხელმეორეთ მოაფიქრ-ათქმევინა. მხოლოდ ამის შემდეგ ეს მასალა საწერად მისცა გრიფელის დაფებზე. საზოგადოდ ყველა საგნიდან მასწავლებელი საწერად და საკუთარის ძალღონით საკეთებლად ისეთს არაფერს აძლევს, რასაც ჯერ სიტყვიერად და დაწვრილებით არ ათქმევინებს, რასაც თითოეულ მოსწავლეს თავისის დახმარებით სიტყვიერად არ გააკეთებინებს.

მეორე კლასიანები კი ამ დრომდის ზეპირად დასწავლილ ლექსს სწერდნენ. მასწავლებელმა იქვე გაუსწორა ყველას, ახლა კი გაკვეთილი არითმეტიკიდან იყო. ამათთვისაც რიცხვითი მაგალითები ცალკე დაფაზე წინ-და-წინ ჰქონდა დაწერილი მასწავლებელს. მაგალითები ისეთები იყო, რომ ერთი რიცხვი სამ-ციფროვანი რომ იყო, მეორე ორციფროვანი (130+70) და სხ. ყველა დაწერილი მაგალითი თითოეულ მოსწავლეს გამოაყვანია სატყვიერად. შემდეგ შეცდომა რომ არ მოსვლოდათ მარტო მუშაობის დროს, მასწავლებელმა პირველი ასის ათიანები (60 და რამდენი იქნება ასი? ათი და რამდენი იქნება ასი? და სხ.) გაამეორებინა, რის შემდეგ კლასის დაფაზე დაწერილი მასალა მისცა გადასაწერად გრიფელის დაფებზე და გასაკეთებლად.

მესამე კლასიანები სახელმძღვანელო წიგნიდან არითმეტიკის ასახსნელებს ჩუმათ კითხულობდნენ და აკეთებდნენ. ახლა მასწავლებელმა ერთს მოწაფეს წააკითხვინა წიგნიდან ერთი ასახსნელი (რთული არ იყო) და იქვე სიტყვიერად გამოაყვანია. მერე დაფაზე გაიხმო და გამოყვანის ფორმულა იქაც დააწერინა. როცა სიტყვიერად აკეთებენ ასახსნელს, თავი მუშაობსო, მსმენელობა ღებულობს მონაწილეობას, ხოლო ამასვე რომ დასწერენ, მხედველობაც ერთობაო. ხოლო მრავალ-ნაირი შთაბეჭდილება უფრო მაგარ და ძლიერ შედეგს სტოვებსო, მეუბნებოდა მასწავლებელი. ამ სახით თითო-თითო ასახსნელი წიგნიდან თითოეულ მოსწავლეს გააკეთებინა.

მეოთხე კლასიანები, რომელთაც წინადვე ჰქონდათ მიცემული სამუშაო, აკეთებდნენ გამოკლების რიცხვითი მაგალითებს. მეხუთე და მეექვსე კლასიანები მშვენიერ გეომეტრიულ ფიგურებსა ჰხატავდნენ. ამ დღეს, შაბათს, უმცროს კლასიანები ათ საათზე დაითხოვა და არც ნასადილევს იყო გაკვეთილები, რადგან მეორე დღე კვირა იყო. დაიტოვა მარტო უფროს კლასიანები. ესენი რკინის ჯოხებით გაიყვანა მინდვრად (პატარა საგიმნასტიკო მოედანი აქვთ) მასწავლებელმა და გიმნასტიკა ასწავლა.

როცა გაკვირდებოდი ამ პატარა ყმაწვილებს, რომლებიც ასე მედგრად, დინჯათ, ერთგულად და ხმის ამოუღებლივ ასეთ სიცხეში (ივლის.) ვარჯიშობდნენ ასე ჩინებულად,—მე გავიფიქრე: ტევტონთა რასის დაცემა, მართლაც, სახუმარო არა ყოფილა მეთქი. როცა გავიხსენე სოფლის მასწავლებლის რვა კლასიან სკოლაში მეცადინეობა შიგნით კლასში, როცა ახლა ვუყურებდი მასწავლებელსა, რომელიც მთელი საათი ხან დახტოდა, ხან კი გაწითლებული დარბოდა კომანდით—ერთი, ორი, სამი, ოთხი, ერთი ორი, სამი, ოთხი, უნებურად მომაგონდა შეხედულება: გერმანია სოფლის მასწავლებელმა აღამაღლაო, საფრანგეთი მასწავლებელმა სძლიაო... მართლაც აქ თითქმის ყველა საგნები, განსაკუთრებით კი გეოგრაფია და ენა სამშობლოსა და სამშობლოს სიყვარულის გარშემო ტრიალებენ... ამავე დროს ქალები ცალკე ხელსაქმეს სწავლობენ, ხოლო მათ გიმნასტიკა ცალკე აქვთ.

17 ივლისი, (30 ახალი სტ.) ორშაბათი.

ენა *). პირველ კლასში დაფაზე დაწერილი მარცვლები წააკითხვინა და შემდეგ რამდენიმე მარცვალი დაფებზე საწერად

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 1566.

*) საზოგადოდ ენა (იგულისხ. სამშობლო ენა) ყველაზე უფრო ძნელ საგნად მიაჩნიათ. მასწავლებელმა მითხრა: თვლა (არითმეტ.) და რეალური საგნები უფრო ადვილია, ენა კი, რასაკვირველია, უფრო ძნელიაო.

დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

27 აგვისტო.

პეტერბურგი. 26 აგვისტოს ჩაუშვეს წყალში ჯავშნიანი გემი „ბოროდინო“, უავგუსტოესის გენერალ-ადმირალის თანადასწრებით; აგრეთვე აშენებას შეუდგნენ ჯავშნიან გემის „კნიაზ სუვოროვი“-სას.

კაპშტადტი. სამხრეთ-აფრიკის უმაღლესი კომისარი მილნერი ბლუმფონტენში მოვიდა.

ბუფალო. ახალი ბიულეტენის ცნობით, პრეზიდენტი უკეთ არის. მაჯა სცემს 128. სიცხე 101.

ბუფალო. გუშინ საღამოს შეიტყეს, რომ მაკ-კინლეის არა უჭამია-რა მას აქეთ, რაც დაჭრილია. ასმევდნენ მხოლოდ წყალს. ექიმებს ჰგონიათ, რომ ავადმყოფი საკმარისად ღონიერია და უჭმელობას ადვილად აიტანსო.

ყველა კაბინეტის წევრები მოვიდნენ აქ. სტატს სეკრეტარ გეის და საზღვაო მინისტრს ლონგს დღეს მოელიან. გუშინ ლაპარაკი იყო იმაზე, თუ შეიძლებს რუველტი პრეზიდენტის თანამდებობის ასრულებას მაკ-კინლეის ავადმყოფობის დროის განმავლობაში. უარ-ჰყვეს რუველტის პრეზიდენტობა.

პეკინი. ოქმს ხელი მოაწერეს ესპანიის საელჩოში. ელჩები მდივნებითურთ მივიდნენ იქ 11 საათ. ლიხუნჩანგი და პრინცი ცუნი პალანკინებში მოვიდნენ ცხენოსან ჯარის თანხლებით. დიპლომატთა შორის ისპანიის უხუცესმა ელჩმა კოლოგანმა სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა, რომ ამ ოქმის ხელის მოწერის შემდეგ დადგება ახალი ხანა ჩინეთსა და ევროპიელ სახელმწიფოთა შორისო. პრინც ცუნმა სიხარული გამოაცხადა იმის შესახებ, რომ შარშანდელ არეულობას და ხალხის ხოცვას ბოლო მოეღო; სთქვა აგრეთვე, რომ ჩინეთი აღარ წაეკიდება სახელმწიფოებს, რადგან ჩინეთი აასრულებს ყველა იმას, რაც დაჰპირდაო. ლიხუნჩანგი სუსტად იყო ავადმყოფობი გამო. ფრანგები წასულან პაოტინფუდან ინგლისელებს და ამერიკელებს ნება მისცეს საყდრებში დგომისა, სანამ ბარაკებს ააშენებენ.

ბერლინი. დღეს საღამოს ნორდერნეიში მოვიდა საიმპერიო კანცლერი; მოისმინა სტატს-სეკრეტრის რიხტერის მოხსენება და პილაუსკენ გაემგზავრა.

მინსკი. გაიხსნა მინსკის სამეურნეო და საოჯახო მრეწველობის გამოფენა.

ყაზანი. გარდაიცვალა ჯარის უფროსი გენერალ-ადიუტანტი მეშჩერიკოვი.

ბუფალო საღამოს განმავლობაში პრეზიდენტის მდგომარეობის შესახებ შემდეგი ბიულეტენები გამოიცა: $6^1/_2$-ზე უარესობა არ ეტყობა, უკანასკნელ ბიულეტენის შემდეგ მაჯა 130, ტემპერატურა— 102,5 სუნთქვა 29; $9^1/_2$-ზე მაჯა 132, ტემპერატურა—102,5, სუნთქვა—29. ერთ-ერთმა პრეზიდენტის ექიმმა გამოაცხადა, რომ თუ ერთის დღის განმავლობაში არ იჩინა თავი სისხლის მოწამვლისა და ფაშვის ანთების ნიშნებმა, მაშინ შესაძლებელი იქნება ავადმყოფის მორჩენაო. ქ-ნმა მაკ-კინლეიმ რამდენიმე ხანი დაჰყო ქმართან; ორივეს ღირსეულად ეჭირათ თავი. მაკ-კინლეიმ სთქვა: „ჩვენ მხნედ უნდა ვიყვნეთ. ორივესათვის ეს ემჯობინება.“ ორი ექიმი და ორი მომვლელი ქალი მუდამ ავადმყოფთან არიან; რადგან ყოველი მღელვარება მავნებელია, ამიტომ ავადმყოფთან უშვებენ ხოლმე ძრიელ ცოტა ხალხს. ნაშუადღევს პრეზიდენტმა წვნიანი სჭამა. ედისონმა, მაკ-კინლეის მდივნის თხოვნით, გამოგზავნა ნიუიორკიდან რენტგენის სხივების მანქანა

ფრანკფურტი. გუშინ ნაშუადღევს მიკელი სეირნობდა, საღამოს კითხულობდა და შუაღამისას დასაძინებლად წავიდა. დილით იგი მკვდარი დახვდა მის ქალიშვილს. ექიმის შემოწმებით, მიკელს გული გაუსკდა.

ნორდერნეი. იმპერიის კანცლერი ბიულოვი კენისბერგში წავიდა.

ვაშინგტონი. აქაურმა კოლუმბიის საელჩომ მიიღო ცნობა, რომ ვენესუელის ფლოტმა ზარბაზნები დაუშინა რიოგაჩს, კოლუმბიის ჩრდილოეთ ნაპირზე.

ბუფალო. 3 საათის და 20 წამის ბიულეტენი: „პრეზიდენტმა ღამე მშვენივრად გაატარა; მაჯა—122, ტემპერატურა 104, სუნთქვა—24».

გელზინგერი. ინგლისის სამეფო იახტა „ოსბორნი“ ორის კრეისერის თანხლებით მოვიდა აქაურ რეიდზე 10 საათსა 45 წამზე კრონბორნიდან და მას მიესალმა ზარბაზნების სროლით დანიის ესკადრა. თორმეტის 45 წამზე მოვიდნენ კოპენჰაგენიდან და ფრედენსბორგიდან უმაღლესი პირები. 12-ის 50 წამზე მეფე ედუარდი გადმოვიდა ნაპირზე და სალამი მისცა უავგუსტოესს ნათესავებს. მიღებას დაესწრნენ გარეშე საქმეთა მინისტრი, საზღვაო მინისტრი, ჯარების უფროსი, ორი ადმირალი, აფიცრები. დიდძალი ხალხი „ურა“-ს ძახილით მიეგება მეფე ედუარდს. პირველის 15 წამზე ყველა უავგუსტოესი პირები ფრედენსბორგში წავიდნენ.

ბუფალო. დილის 9 საათის ბიულეტენი ამბობს, რომ მაკ-კინლეიმ ღამე კარგად გაატარა და ავადმყოფის მდგომარეობა ისეთია, რომ მოსალოდნელია მალე მორჩენა. ავათმყოფი სრულს მეხსიერებაშია, იგი წყნარად წევს; ჭრილობა შეუხვიეს $8^1/_2$-ზე და კარგ მდგომარეობაშია, არ არის არც ერთი ნიშანი ანთებისა; მაჯა 132, ტემპერატურა—102,5, სუნთქვა 24.

„ნიუ-იორკ-ტაიმს“-ის ცნობებით, ექიმებმა მიანდეს რუველტს გამოუცხადონ სენატორებს, ლოჯს და დასის სხვა მეთაურებს, აგრეთვე მაკ-კინლეის მეგობრებს, რომ პრეზიდენტი მორჩება *).

კრონშტადტი. 27 აგვისტოს უავგუსტოესმა გენერალ ადმირალმა მცირე ალლუმი მოახდინა ჯავშნიან გემს «პერესვეტ“ და კრეისერის „ჰერცოგ ედინბურგელის“ საზღვარ გარეთ გამგზავრების წინ. შემდეგ მისი იმპერატორებითი უმაღლესობა ავიდა კრეისერ „სვეტლანაზე“ და თორმეტის ნახევარზე საზღვარ გარეთისაკენ გაემართა.

ბუფალო. გუშინ, საღამოს ხუთს საათზე, მარკ განნმა გამოაცხადა, რომ მაკ-კინლეი თავს კარგად გრძნობს და სრულს გონებაზეა. შემდეგ იტყობინებიან, რომ თუმცა მაკ-კინლეიმ პირველად დაჭრის შემდეგ ვერ იგრძნო ტკივილებიო, მაგრამ ბოლოს კი ჭრილობამ მეტად შეაწუხაო: დრო და დრო გონებასა ჰკარგავდა, ხან კი ცოტათი მოიხედავდა და ჰგმინავდა; როცა გონს მოდიოდა, თავს იმაგრებდა და არ ამხელდა ტკივილებს. გამოჩენილმა ექიმმა ბერნეიმ, როგორც ამბობენ, დიდის ყურადღებით გასინჯა ავადმყოფი გუშინ დილით და ვერ ჰპოვა ვერავითარი საშიში ნიშანი. რენტგენის აპპარატი მოუვიდათ, მაგრამ მხოლოდ მაშინ გასინჯავენ ავადმყოფს ამ აპარატით, როცა დაჭრილ ადგილში შეამჩნევენ რაიმე საშიშოს.

ბუფალო. საღამოს ოთხ საათზე გამოსცეს მეორე ბიულეტენი მაკ-კინლეის ავადმყოფობის მსვლელობის შესახებ: „ავადმყოფს ეძინა ოთხი საათი. დილის 9 საათზე ყველა ექიმებმა სცნეს პრეზიდენტის მდგომარეობა სანუგეშოდ; მაჯა 128, სიცხე 101, სუნთქვა 28“. საღამოს ცხრა საათის ბიულეტენი: „პრეზიდენტი მშვიდობიანად იმყოფება, არავითარი ცვლილება არ დასტყობია უკანასკნელი ბიულეტენის გამოცემის შემდეგ; მაჯა 130, სიცხე 101, სუნთქვა 30“.

ბუფალო. ევროპის ყველა სახელმწიფოთაგან მოვიდა მწუხარების გამოსაცხადებელი დეპეშები. ინგლისის, პორტუგალიის, იტალიის მეფეებისა, ისპანიის დედოფლისაგან და სულთანისაგან მოვიდა საკუთარი მწუხარების გამოსაცხადებელი დეპეშები.

პარიზი. გუშინ მარსელში დიდი კრება ჰქონდათ მრეწველობის და ვაჭრობის წარმომადგენლებს იმის გადასაწყვეტად, თუ როგორი მონაწილეობა მიიღოს მარსელმა დღესასწაულებში რუსეთის იმპერატორის მობრძანების დროს. შესდგა კომიტეტი, რომელიც მიართმევს იმპერატორს ადრესს. მცხოვრეთ წინადადება მიეცემათ გააჩირაღდნონ ქალაქი, ქარხნების პატრონებს გაანთავისუფლებენ სამსახურიდან იმპერატორის საფრანგეთში მიბრძანების დღეს.

მინისტრმა დელკასემ გუშინ გენერალ სახაროვს გაუმართა სადილი. სადილს დაესწრნენ გრაფი მონტებელლო და თავადი ურუსოვი, მინისტრი ვალდეკ რუსსო და ანდრე, გენერალი ბრიუჟერი, პანდეზეკი, დიუშენი, ფლორანტენი და დიუნენი, რესპუბლიკის პრეზიდენტის წარმომადგენელი და გენერალ სახაროვის ადიუტანტები პოლკოვნიკი კუზმინი და ლუკიანოვი.

ბუფალო. დილის 6 საათზე გამოიცა შემდეგი ბიულეტენი: „პრეზიდენტს ღამე კარგა ეძინა, თუმცა ცოტათი შფოთავდა. ავად-მყოფის მდგომარეობა უცვლელად არის; მაჯა 120, სიცხე 101, სუნთქვა 28“.

ბუფალო. ნიუ იფსკის ექიმს მაკ-ბერნეს გაუშინჯავს მაკ-კინლეი და უთქვამს: „თუ პრეზიდენტს ჭრილობა არ შეუმძიმდა, სამი კვირის შემდეგ შეიძლებს სახელმწიფო საქმეების მართვას“.

ლონდონი. „მორნინგ პოსტ“-ს ბუფალოდან ატყობინებენ: «ცხრა და თორმეტ საათს შუა ექიმმა რიკსეიმ შეატყობინა პრეზიდენტის მეუღლეს, რომ პრეზიდენტს საშიში აღარა მოელის რაო“.

სოფია. „ბოლგარიის სააგენტო“ აცხადებს: ხმა, ვითომც კარაველოვის სამინისტრო სამსახურიდან გამოდის, ტყუილი არისო.

რიგა. დღეს დილით აქ ჩამოვიდა გზათა მინისტრი. იყო საკრებულო ტაძარში, დაათვალიერა გამოფენა და საღამოს 10 საათზე აქედან წავიდა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. დღეს, ღამით, გაჰქურდეს ისტორიული მუზეუმი, რომელიც იმყოფებოდა კრემლის კოშკში შუაგულ

---

*) ყველა ზემოდ მოყვანილი დეპეშები დაგვიანებულია.

მისცა. (წინა დღის მუშაობის გაგრძელება).

მეორე კლასსაც წინანდელი გაკვეთილი წააკითხვინა წერტილიდან წერტილამდის თითოს. წიგნები პირქვე დაამხობინა სტოლებზე და კითხვებს აძლევდა სტატიის შინაარსის განსამარტებლად (კატეხიზაცია). ამათაც საწერად ამავე სტატიიდან სამუშაო მისცა. ამავე დროს სამი უფროსი კლასი—ზოგნიც ზმნების ცვლილებას სწერდნენ რვეულში; ზოგნიც ჩუმად გაკვეთილს ამზადებდნენ.

მეოთხე კლასი. სახელმძღვანელო წიგნში მოყვანილი იყო სიტყვები ასეთ განმეორებულ ასოებზე: bb, dd, ff, gg. ll, mm, nn, pp, rr, ss, და სხ. წააკითხვინა ეს სიტყვები, სიტყვათა მნიშვნელობა აახსნევინა, ამ სიტყვებზე წინადადებებით შეადგენია (მზე, კაცი, ქვაბი, ფესვი, კალმ...), შემდეგ ეს სამუშაო საწერად მისცა ე. ი. მოყვანილ სახელ არსებითებზე წინადადებათა შედგენა, წერილობით, რვეულებში.

მეხუთე კლასი. (სხვა და სხვა კლასზე სამეცადინოდ გადასვლისთანავე სახელმძღვანელო წიგნს მეც მაწვდიდა მასწავლებელი) რასაც ახლამდის სწერდნენ, ამის გასამტკიცებლად სახელმძღვანელო წიგნში მოყვანილი აწმყო დროის წინადადებები გადააკეთებინა წარსულისაზე, მხოლოობითი მრავლობითზე (მასწავლებელი ასწავლის, გლეხი ჰხნავს...). ბოლოს ეს სიტყვით ახსნილ-განმარტებული დასაწერად მისცა.

მეექვსე კლასი. წააკითხვინა სახელმძღვანელო წიგნში გასაკვეთ ალაგზე მოყვანილნი სახელიარსებითნი (ვარდი, ლურსმანი, ტბა, ვაშლი, მთა, ცა, ბალახი...), მოაძებნია ამათი შესაფერი თვისებები (ზედშესრული სახელები); შემდეგ, წინაალმდეგ, თვისებები წააკითხვინა (შავი, ახალგაზდა, მხიარული, მადრიელი, ცბიერი, კუთხიანი, წითელი, მრგვალი, რკინის...) და ამათი შესაფერი სახელები მოაძებნია. ერთი სიტყვით სამ უფროს კლასში სამშობლო ენაში ვარჯიშობა და გრამმატიკული მეცადინეობა იყო.

შემდეგი გაკვეთილი. **მეექვსე კლასი** ნაწევრების შეერთების მაგალითებს აკეთებს წიგნიდან. **მეხუთე კლასი** მთელ რიცხვებზე გაყოფის მაგალითებ აკეთებს რვეულებში. **მეოთხე კლასი** გამოკლებით მეცადინეობდა რვეულებში. მესამე **კლასს** სახელმძღვანელო წიგნებიდან ჩუმად გამოჰყავდა არითმეთიკული ასახსნელები, რომლებიც ახლავე მასწავლებლის წინ უნდა გამოეყვანათ კლასის დაფაზე. **მეორე კლასი** მიმატების მაგალითებს იწერდა წიგნიდან რვეულებში. **პირველი კლასიდან** თვით დაიწყო მეცადინეობა. ერთი სიტყვით, როცა პირველ კლასიანებთან იწყებდა მეცადინეობას, მასწავლებელს ყველა დანარჩენები სქმეში ჰყავდა.

პირველ კლასს მიმატების მაგალითები 10-დის დაუწერა· ჯერ სიტყვით ათქმევინა ყველას თითო-თითოდ, შემდეგ ესევე დაფაზე დასაწერ-გასაკეთებლად მისცა. **მეორე კლასიანებს** სიტყვიერად აკეთებინებდა მაგალითებს: $80+80=160$; $160+80=240$ და ასე მიყოლებით ათასამდის *). მერე გამოკლების (ათასიდან მოყოლებული უკან) მაგალითებსა. როცა ირგვლივ თითოეულს 3—4 მაგალითები გააკეთებია, მოსწავლენი კვლავ შეუდგნენ წერილობით ასეთ მაგალითების წერას (რაც აქნობამდის ვერ მოასწრეს).

მესამე კლასში წააკითხვინა ერთს მოსწავლეს სახელმძღვანელოდან ასახსნელი, გამოყვანის წესი ათქმევინა, შემდეგ დაფაზე გაიხმო და იქ გააკეთებინა, ა·ე ორ-სამსა. მერე ყველა ის ასახსნელები, რომლებიც უნდა გამოეყვანათ ამ გაკვეთილზე, თითო-თითოდ წააკითხვინა მოსწავლეებს, სიტყვიერად დაწვრილებით აახსნევინა, თუ როგორ უნდოდა მათი გამოყვანა,—კლასის დაფაზე არ გაჰყავდა, რათა დრო მოეგო.— ეს წაკითხულ-განმარტებული ასახსნელები მისცა გრიფელის დაფაზე გამოსაყვანად და თითონ (მასწ.) მეექვსე კლასზე გადავიდა.

მეექვსე კლასიანებს თითო-თითოდ ათქმევინებს წიგნიდან ნაწევრების შეერთებას: $^3/_4+^5/_8=^6/_8+^5/_8\quad ^{11}/_8=^{13}/_8$. ასეთი მაგალითები მშვენიერ სახელმძღვანელო წიგნიდან გამოაყვანია სიტყვიერად რამდენიმე,—მისცა ესევე მასალა საწერად, თვითონ მასწავლებელი მეხუთე კლასს მიუბრუნდა.

მეხუთელებს კლასის დაფაზე აკეთებინებს მაგალითებს გაყოფისას: 185164:476... **მეოთხეებს** აკეთებინებს ზეპირად მაგალითებს დიდ რიცხვებზე (აქამდის სწერდნენ). ამავე დროს უმცროს კლასებიდან, ვინც გათავებულ სამუშაოს უჩვენებს, უსინჯავს, შეცდომებზე (თუ გამოერიათ) მიუთითებს, შეცდომიანებს ხელ-ახლა აკეთებინებს. ერთმა მოსწავლემ (მესამ. კლას.) შეცდომა გაურია, მასწავლებელმა გალახა, მისი ამხანაგები 11 საათზე გაუშვა, ის კი დატოვა, სანამ ხელ-ახლა არ გააკეთებდა... ბავშვების დაჩოქება არსად შემინიშნას, პირით კედლისკენ დაყენება—კი, როგორც ზევით შევნიშნე. მაგრამ ყოველივე ეს იშვიათად, და ან სად შეუძლია მასწავლებელს დრო დააკარგვინოს მოსწავლეს, როცა რვა-კლასიანთან აქვს საქმე და დრო წუთობით გამოზომილი.

18 (31) ივლისი, სამშაბათი.

სამი უფროსი კლასი ჩუმათ ამზადებდა ბუნების მეცნიერების გაკვეთილსა;

პირველი კლასი. სიტყვები და სიტყვის მარცვლები (გაგრძელება წინანდელისა) წინ და წინ დაწერილი ჰქონდა მასწავლებელ

---

*) მეორე კლასში (განყოფილ.) მარტო მიმატება-გამოკლების მაგალითებს აკეთებენ.

ქილაქში; მოპარულია ძველი ფულების კოლექცია. ქურდი გაიპარა ფანჯრიდან თავისის საშუალებით.

ვერხნეუდინსკი. ვერხნეუდინსკში დღისით, 25 აგვისტოს გასტეხეს სტოლის უჯრა და მოიპარეს 22 ათას მანეთზე მეტი.

სოფია. ბოლგარიის მხრივ გააგის საერთაშორისო მუდმივ სასამართლოს წევრებად დაინიშნენ გარეშე საქმეთა მინისტრი იურის პრუდენციის დოკტორი დანევი და ბოლგარიის დიპლომატიური წარმომადგენელი პეტერბურგში იურისპრუდენციისვე დოკტორი სტანჩევი.

ნიუ-იორკი. ვილემსში იტყობინებიან, რომ კაბელი კიურასაოსა და მსაკაიბის შუა გაწყვეტილია, ამიტომაც არავითარი ცნობა არ მოსულა ვენეცუელისა და კოლუმბიის საზღვრებიდან.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ინგლისი. ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტრომ ამ დღეებში ანგარიში გამოსცა იმის თაობაზე, თუ 1900 წელს რა ნაირად იცვლებოდა სამუშაო ქირა და რამდენა სამუშაო დღე ყოფილა ინგლისში. ანგარიშში ნათქვამია, სამუშაო ქირა შარშან მეტად დიდი იყო. 1896 წლის აქეთ სამუშაო ქირას სულ ემატებოდა. იმოდენა სამუშაო ქირა, რამოდენაც 1900 წელს იყო, არას დროს არა ყოფილა ინგლისშიო. ყველაზე მეტი ქირა მადნის მუშებს მოემატებიათ. წლის გასულს კი სამუშაო ქირა ერთ დონეზე დადგა და წელს თუმცა ზოგიერთ საქმეებში ქირა მატულობდა, სამაგიეროდ ზოგიერთ საქმეში უკლია კიდეც, ასე რომ წელს მუშებს საერთოდ ნაკლები ქირა მიუღიათ, ვიდრე შარშან. სამუშაო ქირას ნამეტნავად მადნის საქმეებში და ფოლადისა და რკინის ქარხნებში დაუკლია.

✡ «ვიკლი დისპატჩ»-ი ამბობს: ლორდ სოლსბერი ავადაა და უსათუოდ სამსახურიდან გადადგებაო. გაზეთი ამბობს:

«სექტემბრის ნახევარში ინგლისის პირველი მინისტრი თავის ქამით ბილიოში წავა და თუ იქ ვერ მორჩა, თანამდებობიდან გადადგება. პარასკევ დღეს მინისტრებს რაღაცა საიდუმლო თათბირი ჰქონდათ და თათბირის შედეგი მეფეს შეატყობინეს. მაინც არა ჰგონიათ, რომ მეფე ამის გულისათვის საზღვარ-გარეთიდან დანიშნულ ვადაზე ადრე დაბრუნდესო. ლორდ სოლსბერიმ ბალფურსა და ჰიქს-ბიჩსა კიდეც განუზიარა თავისი აზრი იმის თაობაზე, თუ რა ნაირად უნდა შეიცვალოს სამინისტრო. სოლსბერი თავის განზრახვას მალე ოფიციალურად გამოაცხადებს».

იტალია. «დეუტჩე რევიუ»-ში ერთის იტალიელი დიპლომატის წერილია დაბეჭდილი. დიპლომატი აცხადებს: იტალია სამთა კავშირს აღარ მიემხრობა, თუ გერმანიამ და ავსტრიამ ხეირიანი სავაჭრო პირობები არ დაუდესო. ავტორი სწერს:

«ჯერ კიდევ 1892 წელს რუდინი სამთა კავშირს არ მიემხრობოდა, კარგი პირობები რომ არ დაედოთ. სავაჭრო ხელშეკრულობის თაობაზე რუდინის მოლაპარაკება ჰქონდა გამართული ავსტრიასთან. ავსტრია ზოგიერთ პირობას არა სთანხმდებოდა. რუდინის უთქვა ავსტრიის წარმომადგენლისათვის: «იმ კაცს, ვინც იმას აგისრულებთ, რასაც მე გთხოვთ, სწორედ პირში მივაფურთხებდიო!» ავსტრია დასთანხმდა იტალიას, აკი ამიტომ სამთა კავშირიც განახლდა. ამ ჟამად იტალიის ერი სამთა კავშირის წინააღმდეგია და ეს კავშირი უეჭველად ჩაიშლება, თუ იტალიას ხეირიან ეკონომიურ პირობებს არ დაუდებენ».

ამ წერილის თაობაზე «ფოსიშე ცაიტუნგ»-ი ამბობს: თუ გერმანია სავაჭრო ხელშეკრულობებს არ განაახლებს, სამთა კავშირი უსათუოდ ჩაიშლება, გერმანია მარტოდ-მარტოკა დარჩება და ყველასთან სატამოჟნო ომი მოუხდებაო.

სპარსეთი. «კელნიშე ცაიტუნგ»-ს სწერენ, ბოლოს დროს სპარსეთში ხალხი მეტად აღელვებულიაო.

«ხალხი უფრო იმაზე ჰღელავს, რომ სპარსეთის მთავრობა ფულს სესხულობს საზღვარ-გარედაო. ხალხი ისე აღელდა, რომ მთავრობა იძულებული გახდა თეჰრანში და მის მიდამოებში სამხედრო წესები შემოედო. სპარსეთში ყოველთვის სამღვდელოება აღელვებდა ხოლმე ხალხსა, მაგრამ ამ ჟამად კი, როგორც ამბობენ, სამღვდელოება საქმეში არ გარეულა. ხალხს თითონ შაჰის დაახლოვებული კაცები აღელვებენ. შაჰს ამ ბოლო დროს ბევრი წერილი მოსდის, სადაც უცნობი ავტორები სხვა-და-სხვა მუქარას უთვლიან. უკმაყოფილო ხალხი დიდ ვეზირს აბრალებს, სპარსეთის ჩრდილოეთი ნაწილი რუსეთს მიჰყიდაო და ეხლა სამხრეთ ნაწილსაც იმასვე უპირობსო. ხალხი ამბობს, დიდი ვეზირი გზების გაკეთებას და სხვა და სხვა საქმეებს მხოლოდ იმიტომ შეუდგა, რომ ჯიბე გაისქელოსო. შაჰმა ფირმანი გამოსცა და ხალხს სთხოვა, დახმარება გამიწიეთ, არეულობის მოთავეები დააპატიმრეთო, დიდმა ვეზირმაც თავის მხრივ გამოაცხადა: 5000 თუმანს მივცემ, ვინც არეულობის მოთავეს გასცემსო.

გერმანია. გერმანული გაზეთები თავს არ ანებებენ კროზიკ-მარტენის საქმეს. სხვათა შორის, მარტენი იმ საბუთითაც გაამტყუნეს, რომ ბრალდებულმა ვერ აუხსნა სასამართლოს, თუ მკვლელობის დღეს 7 წამი სად გაატარებინა და სად ყოფილიყო. გერმანელი მესაათების კავშირიც გაერია ამ საქმეში. მესაათეებმა გამოაცხადეს:

«სიმართლის აღსადგენად, ვაცხადებთ: 1) იაფი საათები ყოველ-დღე ან წინ მიდიან, ან უკან რჩებიან ორი-სამი წამით, ჯარის კაცებს კი სულ ამნაირი იაფი საათები დააქვთ. 2) საათის ისარს ხშირად სწორედ არ აყენებენ ხოლმე, მომეტებულ ნაწილად წინ-წასწევენ, რომ სამსახურში ან სხვა საქმეზე არ დაუგვიანდეთ, ამიტომ ყველა ჯიბის საათი სწორედ არ უჩვენებს დროს. 3) ქალაქის საათებიც ერთნაირად არ აჩვენებენ დროს და ადვილად შესაძლებელია, რომ მოწმეებს (მარტენის საქმეში) თავიანთ საათები სხვა-და სხვა ქალაქის საათებზე ჰქონდათ მომართული. 4) მოწმეების ჩვენება დროსა და საათის შესახებ, არას დროს უტყუარ საბუთად არ ჩაითვლება.»

მესაათეების განცხადებამ სულ შერყია ის მცირე საბუთი, რა საბუთითაც მარტენს სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს.

შეერთებული შტატები. «ტაიმს»-ს სწერენ ნიუ-იორკიდან: «აქაური პოლიცია მეტად უსინდისოდ იქცევა. პოლიციის კომისარმა ერთ უბრალო პოლიციელს ონეალს ჯარიმის გადახდა გადაუწყვიტა, თუმცა პოლიციელი არაფერში არა სტყუოდა. ონეალი ადგილობრივ პროკურორთან მივიდა და გამოუცხადა: ოთხი თვის განმავლობაში ექვსჯერ გადამიყვანეს სხვა და სხვა ადგილზეო. უფროსებს ქრთამს არ ვაძლევდი და ამიტომ მემტერებოდნენო. ამას გარდა პოლიციელმა უამბო: როცა ვინმე რამე დანაშაულს ჩაიდენს, პოლიცია ფულს ართმევს და მერე ხმას აღარ სცემსო. დაბალი მოხელეები თავიანთ ნაშოვრის ნაწილს უფროსებს აძლევენ, ყოველი პოლიციელი მოიჯარადრესა ჰგავს: უფროსებისაგან ადგილს ყიდულობს და მერე როგორც უნდა, ისე ექცევა ხალხსაო.

ჩინეთი. «ნიუ-იორკ ჰერალდ»-ი იუწყება: ტიანძინის უნივერსიტეტში დღემდე გერმანიის ჯარი დგასო. ამერიკის ელჩმა სთხოვა დასცალეთ უნივერსიტეტიო, მაგრამ გერმანელებმა უარი შეუთვალესო. შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა მინისტრ ჰეის განზრახვა აქვს ამ საქმის თაობაზე გერმანიის მთავრობას ოფიციალურად მისწეროს.

სამხრეთ-აფრიკა. აქამდე დარწმუნებულნი იყვნენ, ვითომ სამხრეთ-აფრიკის ყველა მკვიდრები (ზანგები) ბურებს მტრულად უყურებენო, მაგრამ ნამდვილად საქმე ასე როდი ყოფილა. «სტანდარდ»-ს სწერენ: სვაზილანდიდან იუწყებიან, ამ დღეებში ბურებმა ბრემერსდორფი აიღეს, ინგლისის ჯარს უკან დაახევინეს, 10 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს და 30 ტყვედ წაიყვანესო. მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის იყო, რომ ზანგებმა ხმაც არ გასცეს ბურებს, ულაპარაკოდ შეუშვეს თავიანთ ქვეყანაშიო.

ახალი ამბავი

✦ სოფ. ფციდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ: „აქ და ახლო-მახლო სოფლებში 27 აგვისტოს, შუადღის სამ საათზე მოვიდა საშინელი სეტყვა, რომელმაც ათი წუთის განმავლობაში თეთრად მოჰფინა ეზოები და საყანეები; სეტყვა ქათმის კვერცხის ოდენა იქნებოდა. თუმცა შემდეგ მზემაც კი დააცხუნა, მაგრამ საღამომდინ არ დამდნარა. „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწიაო,“ რომ იტყვიან, სწორედ ეგრე მოუვიდათ ადგილობრივ მემამულეებს: ჯერ ისედაც დაღონებულნი—ჰირნახულის მოუსავლობით—ცოტა სულის მოთქმას მოელოდნენ ყურძნისა, მსხალის და ვაშლის მოსავლით, მაგრამ შეუბრალებელმა სტიქონმა ეს იმედიც გაუცრუათ. ამ ჟამად ბევრ მათგანს ბანკებში აქვთ შესატანი ფული და არ იციან, რა საშუალებას მიჰმართონ.“

✦ გუშინ წინ ტფილისის გამგეობის სადგომში ტფილისის ქალაქის გამგეობისა და საბჭოს კომისიის შეერთებულმა სხდომამ გარდასწყვიტა საქართველოს რუსეთთან შეერთების ასის წლის იუბილეის სახსოვრად ქალაქის სამმართველოს საშუალებით დააარსონ ორი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი და მათს მოსათავსებლად ააშენონ საკუთარი შენობა. ეს დადგენილება განსახილველად წარედგინება ტფილისის ქალაქის საბჭოს 4 სექტემბრის სხდომაზედ.

✦ ტფილისის გუბერნატორმა ქალაქის თვით მმართველობის ყურადღება მიაქცია საქალაქო გადასახადის გაწერის სისტემაზე. ქალაქი დღემდის იღებს უძრავ მამულის ღირებულობიდან, რომელიც იანგარიშება 10 წლის შემოსავლის მიხედვით, $^{3}/_{4}$ $^{0}/_{0}$. გუბერნატორი-კი სწერს ქალაქის გამგეობას, რომ კანონით გადასახადი უნდა დაედვას უძრავ ქონებას ერთის წლის შემოსავლის მიხედვით, ერთი პროცენტიდან 10-მდე. გუბერნატორს ამის შესახებ ერთი სახლის პატრონისაგან საჩივარი მიუღია და მას ეს საჩივარი და ზემოაღნიშნული საკითხიც გადასახადის გაწერის სისტემის შესახებ გაუგზავნია განსახილველად გამგეობისათვის.

✦ ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორმა ბ. პავლოვმა გუ-

---

დაფაზე. აილო ჩხირი, გაიხმო ერთი მოსწავლე (სახელით უძახის და არა გვარით, რასაკვირველია) და აკითხვინებს: nein —ჩხირით უთითებდა და ისევ—ერთი? n; მეორე? ei; მესამე n; ერთად?— neiu· mir: ერთი? m; მეორე? i; მესამე? r; ერთად?—mir და სხვ. იმეცადინა რა 10—15 წუთი ამ სახით, დაუწერა დაფაზე ასო z და ამ ასოს წერა მისცა. სანამ წერას დააწყებინებდა, გაიხმო ერთი პაწაწა მოსწავლე და თავის მიერ ნაწერ ასო z ს დაყოლებით შემოავლებინა ხაზი, ერთი ორი მარტოც დააწერინა. გაიხმო კიდევ ერთი-ორი. ამ დროს თვით იჯდა პირველ-კლასიანებში, დაუწერა ყველას თითო სტრიქონი და უთხრა, ჯერ ჩემ ნაწერს გაჰყევითო. მასწავლებელს ჩინებული ხელი აქვს. ზოგს ხელ-მოჰკიდებითაც აწერინებდა, ერთი სიტყვით, წერის სწავლების დროს ხმარობდა ყველა ისეთ საშუალება-ხერხებსა, რომლებიც ჩვენ მასწავლებლებს კარგათ გვესმის. დააწყო რა წერაში, კითხვა გაამეორებინა (c' ac, auc...) და მიუბრუნდა მეორე კლასს.

მეორე კლასი. მეორე სასწავლო წლის სახელმძღვანელო წიგნიდან ერთს წააკითხვინა ერთი წინადადება. მასწავლებლის ჩვენებით ამას ყველანი იმეორებდნენ. მერე—მეორე წინადადება და ასე ბოლომდის. ჩამოჰკიდა სქელი ქაღალდი (დაფა), რომელზედაც ჩინებულის ხელით ეწერა სიტყვები: სერთუკი, ჟილეტი, ქუდი, პერანგი, წინსაფარი, წინდები და სხვ. აკითხვინებს ამ სიტყვებს და აძლევს კითხვებს ამ სიტყვებით აღნიშნულ საგნების უმთავრესს თვისებათა განსამარტებლად და გასაცნობად. თუ საჭიროა, ხან-და-ხან თვით საგანსაც მიუთითებს.—რომელ ნაწილს სხეულისას ვიფარავთ ჩვენ ქუდით? წინდებით? ჟილეტით? ქალები ატარებენ რასა? ქალები არ ატარებენ რასა?... განუმარტა რა მოყვანილ სიტყვებში აღნიშნულ საგნების უმთავრესი თვისებები, უთხრა თითოეულ მოყვანილ სიტყვებზე ორ-ორი შესაფერი წინადადება შეედგინათ და თითონ გადავიდა მესამე კლასზე.

მესამე კლასი. შეერთება წინადადებათა **რომელი, რომლების** მეოხებით. სახელმძღვანელოში მოყვანილია წინადადებები: სოფლელები სჭრიან ხეხილებსა,—ესენი უნაყოფონი გამხდარან; ეს ქალი არის მოსწავლე ქალი; ეს ქალი დადის სასწავლებელში; ადამიანები მუშაობენ ბევრსა და ერთგულადა; ამისთანა ადამიანები საქმის მოყვარე კაცები არიან და ბევრ. სხვა ამისთანა წინადადებებს წააკითხვინებდა და შეაერთებინებდა ასე: სოფლელნი სჭრიან ხეხილებს (მძიმე! სიტყ.), რომელნიც უნაყოფონი გამხდარან. ქალი (მძიმე!), რომელიც დადის სასწავლებელში (მძიმე!), მოსწავლე ქალია. ადამიანები (მძიმე!), რომლებიც მუშაობენ ბევრსა და ერთგულათა (მძიმე!), საქმიანი ადამიანები არიან. წააკითხვინა ყველა წიგნში მოყვანილი წინადადებები, შეაერთებინა ამ სახით და შემდეგ მისცა ესევე სამუშაო საწერად დაფებზე.

მეოთხე კლასი. გაკვეთილად ჰქონდათ და ახლამდისაც ჩუმათ კითხულობდნენ სტატიას Joukirsche („შხამიანი ბალი“ რაღაც შხამიანი მცენარე atropa belladonna сонная одурь). წააკითხვინა თუ არა თითო-თითოდ ეს სტატია, გამოიტანა მშვენიერი ნახატი ამ მცენარისა, წიგნები შეანახვინა და ამ სურათით დაიწყო ბაასი მოხსენებულ მცენარეზე. დაფაზედაც ფესვები და ნაყოფი დაუხატა, ამას შემდეგ ამ მცენარის აწერა მისცა.

მეხუთე კლასი. (მეხუთელებთან მასწავლებლის მეცადინეობის დროს მეექვსელები ღამურას აწერდენ.) გაკვეთილად ჰქონდათ ცხენი. რადგან სტატია დიდი იყო, თითო მოსწავლეს თითო წერტილამდის წააკითხვინებდა. ყველამ კი მთელი სტატია ჩაათავეს. მაშინ ცხენის ნახატი გამოიტანა. შესადარებლად ამავე სურათზე სხვა ცხოველებიც იყო დახატული. კითხვებს იძლეოდა და მოსწავლეთა პასუხებს თვით შეავსებდა ხოლმე. დიდხანს ებაასა ცხენზე, ცხენი ტანის აგებულობით სხვა ცხოველებსა შეადარა, მოიხსენია, სხვათა შორის, რომ ამერიკაში გარეული ცხენები არიან, რომ უნგრეთსა და რუსეთის მინდვრებზე ჯოგობით დადიან ცხენებიო. სიტყვიერი მეცადინეობა რომ გაათავა, ამათ ცხენის აწერა მისცა. კლასის დაფაზე ტემა ასე განუმარტა.

1, შესავალი—(ამას თხოულობდა სტატიის შინარსი), 2, სახე, 3, ფერი, 4, საკვებავი, 5, თვისებანი, 6, სარგებლობა.

მეექვსე კლასში კი დიდხანს ებაასა მასწავლებელი ღამურაზე და თაგვზე. სურათები არ უჩვენებია. ამით გამოვიდა ორი, უპაუზოდ, შეერთებული გაკვეთილი. ახლა პირველი კლასი დაითხოვა. შემდეგი გაკვეთილი იყო წმინდა წერა ყველა კლასიანებისათვის. მეექვსე კლასი სწერდა სიტყვებს ასო K-ზე ვიწრო ხაზებში, მეხუთე კლასი ამავე ასოზე ამავე სიტყვებს უფრო ფართე ხაზებში. მეოთხე კლასი სწერდა მხოლოდ ამ ასე K, და არა იმაზე სიტყვებსა. მეორე და მესამე და მეოთხე კლასი სწერდა რამდენსამე ასოებს—+m. დასახედავი ასოები და სიტყვები მასწავლებელმა კლასის დაფაზე დაუწერა დაუხაზავად. წერაში, როგორც ჰხედავთ, საკმაო ჰარმონიაა ყველა კლასიანებში. ბოლოს უფროსნი ცოტა ხანს გალობდნენ, ხოლო მეორე და მესამე კლასი ამ დროს სწერდნენ, რადგან წერა ვერ გაათავეს.

პ. ჭ—ა.

(შემდეგი იქნება)

შინ, ოცდარვა აგვისტოსთვის დანიშნა კრება **საქალაქო სკოლების** გამგეებისა შეგირდების მიღების, გაკვეთილების განაწილების და გამოფენაში მონაწილეობის შესახებ მოსალაპარაკებლად.

◆ კავკასიის სამოსწავლო ოლქის ადმინისტრაციამ წინადადება მისცა ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობას დააჩქაროს **სახელოსნო სკოლის** რეფორმის საქმე, თანახმად საერო განათლების სამინისტროს მოწერილობისა.

◆ როგორც შევიტყეთ, ტფილისის გუბერნიის **სახალხო სკოლების** დირექციას განზრახვა აქვს შესცვალოს საქალაქო სკოლების გამგე კომისიის მიერ შემოღებული წესი ხსენებულ სკოლებში მოსწავლეების მიღებისა. დირექციას სურს ისევ ძველი წესი შემოიღოს.

◆ გუშინ დასრულდა **მისაღები ეგზამენები** კომერციულ სასწავლებელში და მესამე სავაჟო გიმნაზიაში. ტფილისის ყველა საშუალო სასწავლებლებში, გარდა რეალურისა და მეორე სავაჟო გიმნაზიაში, იღებენ მხოლოდ უმცროს მოსამზადებელ კლასებში; რეალურში და მეორე გიმნაზიაში 1-ლ კლასში მიიღეს ძრიელ ცოტა ბავშვი; მეორე გიმნაზიაში ეგზამენები დაიჭირა 22-მა, მათგან ექვსს უარი უთხრეს უადგილობის გამო. საზოგადოდ, მოსამზადებელ კლასებში მიიღეს 49—50 ბავშვი; კომმერციულში მიიღეს 60-მდე; სხვა კლასებში არავინ მიუღიათ, ასე რომ წელსაც ბევრი ვერ იქმნა მიღებული საშუალო სასწავლებლებში.

◆ ქალაქის გამგეობამ და განსაკუთრებულმა საიუბილეო კომისიამ გადასწყვიტეს, რომ იუბილეის 1-ლ დღეს მოხდება **საგანგებო კრება ქალაქის საბჭოსა**. სხდომის შემდეგ საბჭო მიეგებება თავად აზნაურობას და მასთან ერთად წავა სიონის ტაძარში.

◆ საიუბილეო დღესასწაულებზე **ქუჩების** განათება და მორთვა-მოკაზმვა ქალაქის გამგეობამ და განსაკუთრებულმა კომისიამ მიანდო ბ. ნოვაკს. მარტო გოლოვინის პროსპექტის განათება ელექტრონით, რომელიც იკისრა შუკერტის ფირმამ, დაჯდება 1500 მან.

◆ ტფილისის სასულიერო სემინარიაში **მისაღები ეგზამენები** დაიწყო 27 აგვისტოს და გაგრძელდება თვის ბოლომდე.

◆ ტფილისის **იუნკერთა სასწავლებელში** მისაღები ეგზამენები დასრულდა 26 აგვისტოს.

◆ ტფილისის **სამრევლო სკოლებში** სწავლა დაიწყება შაბათს, 1 სექტემბერს.

◆ **ტფილისის მეეტლეები** სთხოვენ ქალაქის თვით-მმართველობას ნიხრის მომატებას გამოფენამდე და ჯარების საზაფხულო ბანაკებამდე წასვლისათვის.

◆ გუშინ ტფილისის ქალაქის თავმა სთხოვა ტფილისის პოლიცმეისტერს შეატყობინოს სახლის მეპატრონეებს, რომ მონაწილეობა მიიღონ მომავალ **საიუბილეო დღესასწაულში** ბაირაღებისა და სახლებზე ხალიჩების გამოფენით.

◆ კვირას, 26 აგვისტოს, ავჭალის ქუჩაზე, მჭედლიშვილის სახლში მცხოვრებ ამიერ კავკასიის რკინის-გზის ტეხნიკოს ფრიდერიკ ანდრიას ძე რედერ-ვალლერს **განუზრახავს** თვისი საყვარლის ვლენტინა ზირაკის **მოკვლა**. ამ დღეს საღამოს ექვს საათზე, რადაც მიზეზისა გამო წაჩხუბებულან. ვალლერს ამოუღია რევოლვერი და უსვრია ზირაკისათვის; ქალს შემთხვევით ტყვია ასცდენია, რის შემდეგაც წივილ-კივილით კარში გამოვარდნა მოუსწრია. ვალლერი კი შეგროვილ მეზობლებს უკვე გარდაცვლილი უნახავთ; რევოლვერი იქვე ეგდო. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის საანატომიო განყოფილებაში იქმნა გაგზავნილი.

◆ გუშინ, 26 აგვისტოს შემდეგი **მკვლელობა მოხდა** შუაბაზარში, ნიჟარაძის სასადილო დუქანში: როგორც გვითხრეს, დილით კარტი უთამაშნიათ გიორგი კურდალაძეს, მაჭავარიანს და ძნელაძეს; ფული მოუგია ძნელაძისა და მაჭავარიანისაგან კურდალაძეს. შემდეგ ღვინის სასმელად ჩასულან ნიჟარაძის დუქანში; აქ მოსვლიათ ერთმანეთში ჩხუბი; ჩხუბის დროს კურდალაძე დაუჭრიათ თავში, კისერში და ხელში. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს. ექიმების შემოწმებით, დაჭრილის მორჩენა საეჭვოა. პოლიციამ ძნელაძე უკვე შეიპყრო, ხოლო მაჭავარიანი გაქცეულა და სადღაც მიმალულა.

◆ როგორც გვატყობინებენ, დ. სურამში ამ დღეებში მოსულა **საშინელი სეტყვა**, რომელსაც დიდი ზარალი მიუყენებია სურამისა და გარშემო მცხოვრებთათვის. ზარალი ჯერ გამორკვეული არ არის.

◆ გორის მაზრის, შინდისის **მომხმარებელ საზოგადოების** გამგეობამ ტფილისის გუბერნატორის მიერ დამტკიცებული წესდება უკვე მიიღო.

◆ 23 აგვისტოს სადგურ კარავანსარაიას და უზუნტალას შუა (ყაზახის მაზრა) საღამოს რვა საათზე **ავაზაკების ბრბო** თავს დაესხა გზაზედ მიმავალ დილიჟანსს 3 ვერსტის სიშორეზე უზუნტალადან. ავაზაკებმა წაიღეს ყველაფერი, რისაც კი წაღება შეიძლებოდა. სხვათა შორის, გაძარცვეს ერთი ვაჭარი, რომელსაც წაართვეს ბრილიანტის ბეჭედი 150 მანეთად ღირებული და სამი ათას მანეთამდე ფული; პოლიცია გამოუდგა ავაზაკებს და, როგორც ჰფიქრობენ, ერთი კიდეც დაიჭირეს.

◆ დღეს, 29 აგვისტოს, წირვის შემდეგ რომელიც გარდახდილ იქნება კუკიის სასაფლაოს წმ. ნინოს ეკკლესიაში, **აკურთხებენ** **მეგლს** არდაგანის აღების დროს გარდაცვალებულ ჯარის-კაცთა საერთო სასაფლაოზედ.

◆ გუშინ, 28 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე კავკასიის სამეურნეო გამოფენის მოედანზე **ვიქტორ გეევსკი** უეცრად ავად გახდა. გეევსკი საჩქაროდ ჩასვეს ეტლში და სახლისაკენ წაიყვანეს, მაგრამ გზაზე გარდაიცვალა. 8 საათზე მთელმა მისმა ნაცნობებმა თავი მოიყარეს და პანაშვიდი გარდახადეს განსვენებულს.

◆ პოლიციის მე-6 ნაწილში, სუფ-სარქისის ქუჩაზე, მირზოევის ეზოში ძილის დროს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველს **მოუკლავს** სპარსეთის ქვეშევრდომი მამად რუსეიამ-ქიარიმ-ოღლი; როგორც მის ცოლს განუცხადებია, ქიარიმ-ოღლი მოუკლავს სპარსეთისავე ქვეშევრდომს ნაგიმეკ-მეღჟადბეკ-ოღლის, რომელსაც მოკლულთან რაღაც ნივთებისა გამო ხშირად ჩხუბი ჰქონია ხოლმე.

◆ ახალციხის ქალაქის თავს აქამდე შეუგროვებია პუშკინის სახელობაზე ასაგებ **ქსენონისათვის** კერძო შემოწირულებით 739 მანეთი.

◆ ტერგუკასოვის ქუჩის მცხოვრებლებმა განცხადება შეიტანეს ტფილისის ქალაქის სამართველოში და ითხოვენ დაიკეტოს სრულიად დოქტორ-კატანიანცის ადგილზე აშენებული აგურის ქარხანა, რადგანაც ამ ქარხნიდან ყოველი მტვერი და ნაგავი იყრება გუნიბის ქუჩაზე, ასე რომ იქ გავლა არამც თუ ავდარში, კარგს ამინდშიაც შეუძლებელია, რადგანაც ქუჩა ყოვლად მინგრეულ მონგრეულ მდგომარეობაშიაო.

◆ 26 აგვისტოს ტფილისის მოქალაქემ ვასილ მრევიშვილმა დასჩრა მუცელში დანით ტფ. მოქალაქე ბაგრატ გრიქუროვი, რომელიც შემწეობის აღმოსაჩენად მაშინათვე გაგზავნილ იქმნა მიხეილის სამკურნალოში; .გრიქუროვი უკვე გარდაცვლილა.

მხითარისტების კონგრეგაციის ორასი წლის შესრულების გამო

26 აგვისტოს ორასი წელიწადი შესრულდა მას აქეთ, რაც დაარსდა სომეხ-კათოლიკეთა მხითარისტების კონგრეგაცია. ამ ხნის განმავლობაში კონგრეგაციის მოღვაწეობა ფრიად შესანიშნავი იყო. კონგრეგაციამ გამოსცა 3,000 ცალი წიგნი სომხურ, რუსულ, ბერძნულ, ლათინურ და ოსმალურ ენებზე. მხითარისტების კონგრეგაცია ნამდვილი სომხური სამეცნიერო აკადემიაა. მას დიდი დვაწლი მიუძღვის სომხურ ისტორიის, გეოგრაფიის, არხეოლოგიის და ლიტერატურის შესწავლაში. კონგრეგაციამ შეადგინა სომხური ლექსიკონები, გადათარგმნა ჰომეროსი, ვირგილიუსი, ჰორაციუსი, ფუკიდიდი, ევრიპიდი, კსენოფონტი, სალიუსტიური, აგრეთვე დანტე, მილტონი, რასინი, კორნელი, ბაირონი, ლონგველო და სხვ. მხითარისტებმა შეაგროვეს ძველი სომხური ხელთ-ნაწერები და გადათარგმნეს ცნობილი ევსევი პომპილის ქრონიკა.

კონგრეგაციის დამაარსებელი იყო მხითარი, რომელმაც დაიწყო თავისი მოღვაწეობა კონსტანტინეპოლის კაპუცინების მონასტერში. მხითარმა 1701 წ. დააწესა „ძმობა“ მორეიაში, რომელიც მაშინ ვენეციის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა. მორეიაში დიდხანს არ გასტანა «ძმობამ». ოსმალეთმა ვენეციელების რესპუბლიკას ომი გამოუცხადა; ამის გამო მხითარი ვენეციაში გადავიდა. ვენეციელებმა მისცეს მხითარს სამუდამო მფლობელობაში წმ. ლაზარეს კუნძული. ამ კუნძულზედ დაფუძნდა „ძმობა“ და მას აქეთ იქ იმყოფება. უნდა ვსთქვათ, რომ 1773 წ. მხითარისტების ერთი ნაწილი ვენეციას თავს ანებებს და ტრიესტში გადადის, ხოლო იქიდან 1811 წ. ვენაში. ვენის მხითარისტებმა თავის მოძმეების სამეცნიერო მოღვაწეობა განაგრძეს. იმათი ყოველთვიური მიმოხილვა („ანდეს ამსორია“) საუკეთესო სამეცნიერო სომხურ ორგანოდ ითვლება.

სალამოს დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 აგვისტო.

პეტერბურგი. პრინცის გერმან საქსენვეიმარელის გარდაცვალების გამო უმაღლესს კარში დანიშნულია 5 დღის მგლოვიარობა.

გამოცხადებულია ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი საქციოზო გადასახადების გამგეს ქარხნებზე მეტ შაქრის წარმოების გამო.

გაზეთ «ნოვოე ვრემია»-ში დაბეჭდილია ცნობა მოსკოვის სამხატვრო სკოლის მოწაფის სოროხტინის გენუაში დატუსაღების შესახებ. ეს სოროხტინი თითომც უკანონოდ უნდა დაესაჯოს იტალიის სასამართლოს ერთის თვით ციხეში დაპატიმრებით და იტალიის საზღვრებიდან განდევნით; ამასთანავე იტალიის მთავრობას არ უნდა დაებრუნებინოს მისთვის არც ნივთები და ფული და არც ქაღალდები. გენუაში მყოფ რუსეთის კონსულის მოხსენებით სოროხტინი დააკავა სადამოჟნო სამმართველომ ნება-დაურთველად იარაღის ტარებისათვის. გაჩხრეკის დროს სოროხტინს მართლა უპოვეს რევოლვერი და დიდი ხანჯალი, რისთვისაც მას გადაუწყვიტეს 25 დღის დაპატიმრება, რევოლვერი და ხანჯალი კი ჩამოართვეს: სასჯელის მოხდის შემდეგ სოროხტინს გამოუცხადებია, რომ იგი იტალიაში გზად იმყოფება და მარსელში მიდის. ამიტომაც იგი ამ ქალაქში გაგზავნეს. რაც შეეხება მის ქაღალდებს და პასპორტს, ესენი, მისის თხოვნით, მიითხოვა რუსეთის საკონსულომ გენუაში და 24 ივლისს გაგზავნა ნიცცაში, სადაც მოვიდა სოროხტინი—მარსელიდან. სხვა ნივთებისა და ქაღალდების დაკავებაზე სოროხტინს არა განუცხადებია-რა.

ბუფალო. დილის 6 საათის ბიულეტენმა ბევრი არ დაამშვიდა, რადგან ყველა დილის იმედებით შეჰყურებს პრეზიდენტის მდგომარეობას. ექიმები ამ აზრისა არიან, რომ ჯერ არ ყოფილა არც ერთი საშიში ნიშანი, და ამბობენ, რომ ამ გვარ ჭრილობის მიზეზით შეიძლება ბუნებრივად გართულდეს ავადმყოფის მდგომარეობა.

ბუფალო. ბიულეტენი დილის ცხრა საათზე და 20 წუთზე: «პრეზიდენტის მდგომარეობა უფრო და უფრო აკმაყოფილებს ექიმებს. მდგომარეობის მოულოდნელი გართულება ეხლა ნაკლებ საფიქრებელია. მაჯა 122, ტემპერატურა 100,8 სუნთქვა 28».

ბუფალო. ნაშუადღევის სამის საათის ბიულეტენით პრეზიდენტის მდგომარეობა თან და თან უმჯობესდება; მაჯა 113, ტემპერატურა 101, სუნთქვა—26.

პილაუ. იმპერატორი ნაშუადღევს წავიდა აქედან გემ «ჰოჰენცოლერნით», რომლზედაც იმყოფება ფიულოვიც.

სოფია. დღეს დილით რუსეთის დიპლომატიურ სააგენტოში გადიხადეს პანაშვიდი ჰერცოგ მგბენი მაქსიმილიანის ძის ლეიხტენბერგისა. პანაშვიდები გადაიხადეს აგრეთვე სტარაია ზაგორაში და რუშჩუკში, სადაც განსვენებული მონაწილეობას იღებდა რუს-ოსმალთა უკანასკნელ ომიანობაში.

პეკინი. გამოიცა ბრძანება ეგზამენების რეფორმის შესახებ. ეგზამენებზე მოეთხოვებათ ჩინეთისა და დასავლეთის ისტორიიდან და დასავლეთის მეცნიერებიდან.

პეკინი. დღეს იუნშიკაის ჯარები მოვიდნენ აქ და მიიღეს საპოლიციო სამსახური. დაქირავებულია ბევრი მუშება სასახლეებისა და ქუჩების შესაკეთებლად.

ვინბურგი. ბეკერისა და ელიოტის რაზმები დაბრუნდნენ მას შემდეგ რაკი განდევნეს ბურები ახალშენის ნაწილიდან. ბეკერის რაზმმა მოჰკლა 9 ბური, დასჭრა შვიდი და დაატყვევა 7; დაიგდო ხელთ 32 ფურგონი, 7000 პატრონა, 1500 თავი საქონელი, დიდ-ძალი პური და ფქვილი და დააბრუნა ასამდე გაქცეულები. დეკემბრიდან აქ არ ყოფილა ინგლისელი ჯარი და ბურებს შეეძლოთ ესარგებლნათ ამ დროით ყანების დამუშავებისათვის. ყველგან ამწვანებული ყანები მოსპნენ. ელიოტმა დაიგდო ხელთ იმ ბურების ფურგონები, რომლებიც ბეთლემისაკენ მიდიოდნენ ამ ქალაქში სურსათის შესატანად. მისმა რაზმმა მოჰკლა ორი ბური, დაატყვევა—9, დაიგდო ხელთ 300 ფურგონი, 8000 თავი საქონელი, 1400 ცხენი, რამდენიმე ათასი ცხვარი; მოიყვანა რემინგტონში 800 ბური, კაცი და ქალი და ხელში იგდო გასბრუკის სურსათის ფურგონები.

დევეტი, შტეინი, გასბრუკი, ფრანემანი და სხვები სათათბიროდ შეიკრიბნენ 15 აგვისტოს ვანდერსკოპში, მაგრამ ინგლისელ ჯარის მოახლოების გამო გაიქცნენ რეიცში, საიდანაც 23 აგვისტოს ისინი განდევნეს რემინგტონისაკენ.

ჩიკაგო. 9 ანარქისტი მოიყვანეს სასამართლოში, მაგრამ ჩვენების ჩამომრთმევა გადადვეს 6 სექტემბრისათვის შეთქმულობის საქმის საფუძვლიანად გამოკვლევისათვის. სამი მათგანი, ქალები, გაანთავისუფლეს საპატიმროდან გირაოს შეტანის შემდეგ; დანარჩენები დაჭერილები არიან.

სან-სებასტიანი. ნაშუადღევს შვეიცს საუბარი ჰქონდა დედოფალთან 45 წამის განმავლობაში. საღამოს შვეიცი მადრიდში წავიდა.

რედაქტორი ალ. შულინა. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

ვერის მოედანზე, ყაფანთან.

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი**.

შინ მიტანით 1 ფუთი 40 კაპ.

ტელეფონი № 754. (0—0)

ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება თარგმანები

ივ. მაჭავარიანისა:

გლეხი-კაცის ისტორია (ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა) 4 ნაწილად. . . . ფასი 2 40

ბრძყალები, დრამა 3 მოქ. „ — 30

იუდითი, დრამა 5 მოქმედ. „ — 30

ტარტიუფი, ანუ მუზმუზელა, კომედია 5 მოქმედ. „ — 50

Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Августа 1901 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართვ. ამხანაგობის.